საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/86

ქ. ბათუმი 13 ივნისი, 2019 წ.

2019 წელს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **2019 წელს** ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

   1.1. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის შეფასება განხორციელდეს **შეფასების ელექტრონული სისტემის - apa.bsu.edu.ge (შემდეგში „სისტემა“)** საშუალებით;
   1.2. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს დაევალოთ სისტემაში მათთან დაკავშირებული ელექტრონული ველების შევსება არაუგვიანეს 2019 წლის 30 ივნისისა;
   1.3. აკადემიური საქმიანობის შეფასების მიზნით გამოყენებული იქნას მხოლოდ 2018-2019 სასწავლო წლის მონაცემები, ხოლო სამეცნიერო მუშაობის შეფასების მიზნით - როგორც 2018-2019 სასწავლო წლის, ისე (შესაფასებელი პირის მიერ აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ატვირთვის შემთხვევაში) ბოლო ხუთი წლის (2014-2019 წლები) მონაცემები. თითოეულ ველში შესაძლებელია არაუმეტეს ხუთი მონაცემის ატვირთვა;
   1.4. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ შესაბამისად, აკადემიური პერსონალის შეფასებაზე პასუხიმგებელ პირებს (ფაკულტეტი დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი, სამეცნიერო გრანტების ხელმძღვანელები) დაევალოთ შეფასების გაკეთება არაუგვიანეს 2019 წლის 13 ივლისისა;
2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასებაზე პასუხიმგებელ პირებს დაევალოთ პერსონალის შეფასების დროს შემდეგი კრიტერიუმებით სარგებლობა:

2.1. აკადემიური თანამდებობის პირი შეფასდეს მაქსიმუმ შეფასებით - „ძალიან კარგი“, თუ მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია ინდექსირებულია ,,web of science“-ის ბაზაში (გარდა ქართველოლოგიის მიმართულებისა), მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონფერენციაში და არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ ძირითადი შემსრულებელი;

2.2. აკადემიური თანამდებობის პირი შეფასდეს მაქსიმუმ შეფასებით - „კარგი“, თუ მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია ინდექსირებულია ,,scopus“-ის ბაზაში (გარდა ქართველოლოგიის მიმართულებისა), მონაწილეობა აქვს მიღებული კონფერენციაში და არის დასაფინანსებლად წარდგენილი სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი;

2.3. აკადემიური თანამდებობის პირი შეფასდეს მაქსიმუმ შეფასებით - „დამაკმაყოფილებელი“, თუ მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია ინდექსირებულია ,,google scholar“-ის ბაზაში და მონაწილეობა აქვს მიღებული კონფერენციაში;

3. რექტორის მოადგილეს (ნ. წიკლაშვილს) დაევალოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესის კონტროლი და სამეცნიერო საქმიანობის საბოლოო შეფასება.
4. რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) დაევალოს აკადემიური პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასების პროცესის კონტროლი.
5. გრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევით სამსახურს და აკადემიურ პერსონალს.
6. გრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში